ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


მმართველობა ტფილისის ქონებათა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ კვირას, 7 მარტს, დილის 10 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

განსახილველად და დასამტკიცებლად საგნებისა

1) მმართველობის ანგარიში 1892 წლისა.

2) ხარჯთ აღრიცხვა 1893 წელს დასახარჯ. ფულისა საზოგადოების მმართვა-გამგეობისთვის.

3) მოხსენება მმართველობისა შესახებ იმისა, რომ განკარგულება მოვახდინოთ, საზოგადოების წევრთა სახლებში ბუხრები გაიწმინდოს.

4) მოხსენება მმართველობისა: 10% მოაკლონ საზოგადოების იმ წევრთა წლიურ გარდასახადს, ვინც ხუთის წლის განმავლობაში შეუწყვეტლად საზოგადოებაში აზღვევს მამულსა.

5) მოხსენება მმართველობისა: დამტკიცებულ იქმნას პროექტი, რომლის ძალითაც უნდა შეიცვალოს განსაზღვრა რაიონებისა.

6) არჩევანები: მმართველობის ერთის წევრისა, ზედამხედველ კომიტეტის ორის წევრისა, კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის ორის წევრისა და ორის კანდიტატისა, მათ ნაცვლად, ვისაც სამსახურის ვადა გაუთავდათ: მმართველობის წევრის ვ. გ. კანდურალოვისა, ა. ა. ივანენკოსი და თ. ი. გ. მაჩაბლისა და კანდიდატებისა ა. ს. წურინოვისა და ნ. ს. კუსიკოვისა, სარევიზიო კომისიის წევრთა: ნ. ს. კუსიკოვისა და გ. ა. ქიურჩარიანცისა.


ქართული თეატრი

კვირას, 28 თებერვალს,

მ. მ. საფაროვის გამგეობით

ქართული თეატრის არტისტებისაგან

კოტე მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილ იქნება

პირველად ამ სეზონში

I

**შემცილი**

დრამა 2 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძისა

II

**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**

კომედია 2 მოქმედ. რ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ-ნნი: ავალიშვილისა, არლანი, ტარიელოვისა; ბ-ნნი მესხი, აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს

**გურულების ორკესტრი**

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

ამ მოკლე ხნში წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის თეატრის არტისტი ქალი **ეფ. ს. მესხი.**

გამგეობა მ. მ. საფაროვისა


ტფილისი, 27 თებერვალი

წინა წერილებში განვიხილეთ, რა ცვლილება, რა დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთის ერს ახალმა სამართალმა, რომელმაც, სხვა რეფორმებთან ერთად, ძირეულად შესცვალა საზოგადო ცხოვრება. რაღა თქმა უნდა, ერთიათად სასურველი და სანატრელი იყო მალე შემოღება ახალის სამართალისა ჩვენის სამშობლოსთვის, სადაც კანონი, შედარებით, ბევრად ნაკლებ კანონობს. ამისათვის არ შეიძლება თანაგრძნობით არ მოვიგონოთ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომლის მეცადინეობითაც ისე მალე მოენიჭა ჩვენს ქვეყანას ახალი სამართალი *).

დიდის ამბით იდღესასწაულეს თურმე ქუთაისში ახალის სასამართლოს შემოღება. ჩვენმა მხცოვანმა მღვდელ-მთავარმა გაბრიელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიჰმართა ახალ მსაჯულთ და მოაგონა, რომ სიტყვიერსა და საჯარო მართლ-მსაჯულებას ქართველი ერი დიდის ხნიდან მიჩვეულია, ეგ იმისთვის ახალს არას წარმოადგენს, ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, შეეფერება მის ზნესა და ჩვეულებასაო. სწორედ საჭირო იყო ასეთი გახსენება საქმის ვითარებისა. თანამშრომელნი და თანა მოღვაწენი დიდის მთავრისა და ბევრნიც სხვანი დიდად შიშობდნენ თურმე, ქართველი ერი მომზადებული არ არის, ვერ შეიგნებს, ვერ შეითვისებს ახალის სამართლის სიკეთესაო. ასე შეუძლიან ლაპარაკი მხოლოდ იმას, ვისაც ჩვენის წარსულის ცოდნა ნაკლებადა აქვს, ვისაც „ძველობით“ უსუნთქავს და იმის ატმოსფერაშია აღზრდილი, ვისაც ხალხთან საქმე არა ჰქონია და, მაშასადამე, არც იცის ზედმიწევნით, როგორ უცემს მაჯა, რა უყვარს და რა ეჯავრება. მართლ-მსაჯულება ჩვენში მეტად მარტივი და უბრალო ყოფილა წინად, საქართველოს დაუმოკიდებლობის დროს. დიდსა და მძიმე საქმეებს თვით მეფე ასამართლებდა, მცირეს—მისი სანდო კაცნი, მდივნები და ბჭენი. უსულო დამღუპველი ფორმალიზმი, ყბადაღებული რუსული „ვოლოკიტა“, ჩვენს სამართალს არა სცოდნია. დავიდარაბა მალე და უცბად თავდებოდა. რა თქმა უნდა, ასეთს სამართალს მიჩვეული ერი კარგად შეიგნებდა ახალს სამართალს, ადვილად შეითვისებდა და მხოლოდ მისი შემოღების დაგვიანება იქნებოდა საშიში და არა დაჩქარება.

პირველი მთავარ-მართებელი საქართველოსი თ. პ. დ. ციციანოვი დიდათ ჰკვირობდა, რად უფრთხიან ქართველები ჩემს დაწესებულ მოსამართლე-მოხელეებს, რად ერიდებიან მათ სამართალს და ყველა მომჩივანი მე რად მეტანებაო *). ხალხს ეგონა, მთავარ-მართებელი მეფის მაგიერობას გასწევს, და სამართლისთვის იმას აშურებდა, მეფის მოადგილეკი მომჩივანს კანცელარიაში ჰგზავნიდა. ცხადია, რომ ხალხი გულდაწყვეტილი რჩებოდა და მხოლოდ მწარე ბედის სამდურავით იოხებდა გულსა. ამისათვის ნურავის გაუკვირდება, რომ ჩვენი ერი დიდის სიხარულით მიეგება ახალს სამართალს და იმედოვნებდა, რომ სიტყვიერი, მალი და საჯარო მართლ-მსაჯულება ძველს დროს დაგვიბრუნებს ისევაო.

დიაღ, დიდის სიხარულით და იმედებით აღსავსე მიეგება ქართველი ერი ახალს სამართალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მალე მის სიხარულს ფრთები შეეკვეცა. პირველი ესა, რომ ბჭობა ახალს სასამართლოში გაუგებარ ენაზე იყო. თუ რუსეთის ერი, ახალის საჯარო სამართალის მეოხებით, მოქალაქობრივის მხრივ იზრდებოდა, ჩვენი ერი მოაკლდა ამ სიკეთეს, რადგან მსაჯულისა იმას არა ესმოდა-რა და, მაშასადამე, სამართლის კეთილი ზედ-მოქმედება ქარწყლდებოდა. ამის გამო ჩვენმა ერმა ვერ შეიყვარა ისე ახალი სამართალი, როგორც რუსებმა შეიყვარეს; ახალს სამართალსა და ხალხის გულს შორის ვერ გაება ძაფი, ვერ დამყარდა მტკიცე კავშირი, ხოლო უამისოდ სამართალი ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს და პატივისცემას ვერ დაიმსახურებს. მთელი მართლ-მსაჯულება დაფუძნდა ჩვენში უხეირო, უნიჭო, განუვითარებელ თარჯიმანებზედ; მხოლოდ იმათის შემწეობით აგებინებენ თავის გულის პასუხს ერთი-ერთმანეთს მსაჯული და მომჩივანი. ასეთმა შეუ-

*) ყველაზე ადრე ახალი სამართალი მოსკოვსა და პეტერბურგში შემოიღეს (1866 წ.), შემდეგ სხვა საგუბერნიო ქალაქებში. 19 თებერვალს 1868 წ.—ჩვენში რუსეთში ეხლაც მოიპოვებიან ისეთი გუბერნიები და ქალაქები, სადაც „Судебные уставы“ ალექსანდრე II არ არის შემოღებული.

ავტ.

*) აქ საკვირველი არა არის-რა. მაშინდელ სასამართლოს მოხელენი იყვნენ რუსნი და „ინჩი“ ქართული არ იცოდნენ; ვისაც-კი მიჰმართამდნენ მომჩივანნი, თითქმის ყველა გაიძახოდა, ეგ ჩემი საქმე არ არის, მიჰმართე სხვასაო. ამასობაში დრო და ჟამი გადიოდა და ხალხი სამართალს ვერ ჰპოულობდა. ამას გარდა თ. ციციანოვმა შემოიღო ესრედ წოდებულ „судъ по формѣ“. მომჩივანს დაწერილი არზა რუსულად ზეპირად უნდა ეთქვა, თუ შეეშლებოდა რამე, საჩივარს აღარ მიიღებდა მაშინდელი მოსამართლე. მოდი და ამისთანა სამართალს ნუ გაექცევა ხალხი.

ავტ.

# ფელეტონი

№ 4 „ზურნა“ № 4

„,ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა,
გამაგონე ეგ მწარე ხმა!“

28 თებერვალი

ჩვენ დავსწრებივართ ასეთს შემთხვევას: ივანე ექვთიმეს ძე ეცა საყელოში ფილიმონე ანდუყაფარის ძეს... გაჩნდა მედგარი ჩხუბი და... ივანე ექვთიმეს ძე ქვეშ-კი მოექცა. ჰბობნის ზემოდამ ფილიმონე... მაგრამ არც ივანე დაეცა სულით და ქვეშიდამ ხრინწ-გაწყვეტილი ეძახის: „ჰე, ჰე, მოგხვდა! ამიშვი, თორემ მოგკლამ!“

ვინ გაიმარჯვა? ივანე ექვთიმეს ძემ, თუ ფილიმონე ანდუყაფარის ძემ?

რასაკვირველია, ფილიმონემაო, იტყვით თქვენ. იტყვით და ძალიან შესცდებით. ძალიან შესცდებით იმიტომ, რომ თქვენ დაჩვეული ხართ ზერელად სჯას. არ ჩაუკვირდებით ღრმად საგანს.

ასე არ ვიქცევით ჩვენ და გამოჩენილი მცოდნე „კონვერსიისა“—ილია ხონელი. ჩვენ, ესე იგი, „ზურნის“ რედაქცია და ბ-ნი ილია ხონელი ღრმად ჩავუფიქრდით საგანს, „ცხოვრებას მეცნიერების თვალით შევხედეთ“ და ჩვენი უტყუარი სამართალი გავაჩინეთ: დამარცხებულია ფილიმონე და გამარჯვებული ივანე. რათა? მათა, რომ ივანემ შეჰკივლა: „ჰე, ჰე, მოგხვდა! ამიშვი, თორემ მოგკლავო“.

მაშ: დიდება მოსაზრებასა, დიდება ჭკუასა და ლოღიკასა ბ. ილია ხონელისასა, დიდება „მეცნიერების თვალით მხედველსა“, დიდება „მეცნიერების ყურით მსმენელსა“!!! გაუმარჯოს გამარჯვებულ ივანე ექვთიმეს ძეს!!!! ურა!!!

დეპეშა.

(საკუთარ აგენტისაგან)

ბაქო. აქ ხოლერა ჯერ არ გაჩენილა. ამიტომ ქალაქის მოურავი, საბჭოს ხმოსნები და მკურნალები ყველანი ჯერ-ჯერობით ბაქოში იმყოფებიან.

გამოსადეგი ცნობანი.

(ახალ კალენდრისთვის)

მოგვყავს ზოგიერთი ცნობა რომელიც, იქნება, მკითხველთ არ იცოდნენ და ვერც ერთ კალენდარში ვერ ამოიკითხონ:

ფოსტა.

1) არ მიიღება ფოსტით გასაგზავნად ისეთი საგნები, როგორც მაგალითად: ურემი, ფაიტონი, ტახტი ₰ სხვა, რადგანაც ეს ნივთები კონვერტში არ ჩაიდება.

2) აკრძალულია გაგზავნა კონვერტებით ისეთ ნივთებისა, რომლებსაც, შეიძლება, ცეცხლი მოეკიდოს, მაგალ. ნავთისა, თოფის წამლისა, დინამიტისა და სხვ.

3) დაბეჭდილი წერილი ჰქვიან დაბეჭდილ წერილს. ამ გვარ წერილებში ლანძღვა-გინების წერა აკრძალული არ არის.

4) ღია წერილი ჰქვიან ყოველ გვარ ღია წერილს. ამ გვარ წერილებში ლანძღვა-გინების წერა აკრძალულია.

5) ბანდეროლით გაიგზავნება ისეთი ქაღალდები, რომელსაც არავითარი ფასი არა აქვს, მაგალითად, პროტოკოლები მორიგ კრებათა: სამკურნალო საზოგადოებისა, სამეურნეო საზოგადოებისა, პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა და სხვ.

6) ადრესი წერილზედ გარკვევით და დაწვრილებით უნდა იყოს დაწერილი. ასეთის ადრესით, როგორც მაგალითად: „ჩემ სოფელში საყვარელ მეუღლეს დარეჯანს“, ან კიდევ: „ქალაქ საფრანგეთში უფროს ლაქიას ალფეზასა“, წერილი არ გაიგზავნება.

7) საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილებს ადრესი ფრანგულად უნდა დააწეროთ. ვინც ფრანგული წერა არ იცის, წერილსაც ნუ გაჰგზავნის.

8) არ მიიღება წერილები გასაგზავნად ისეთ ქვეყნებში, სადაც ჯერ ფოსტა არ არის გამართული, მაგალითად: საიქიოს, ჯანდაბას, დოზანას და სხვ.

ტელეგრაფი.

1) გასაგზავნი დეპეშა გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. მიღებული დეპეშაც—გარკვევით, მაგრამ შეიძლება აზრი-კი შეიცვალოს. მაგალითებრ, თუ ასეთი დეპეშა გაგზავნეთ: „მოგვილოცავს ქალიანობა“, შეიძლება ტელეგრაფმა ეს დეპეშა ასე გადასცეს: „მოგვილოცავს კვალიანობა“.

2) ქუთაისიდგან ტფილისს დილით გამოგზავნილი დეპეშა უეჭველად საღამოთი ან მეორე დღეს დილით მოგივათ. ხანდახან ისეც მოხდება, რომ სულაც არ მოგივიდეთ.

3) თუ ისე დამახინჯებული დეპეშა მოგივიდათ, რომ, ათჯერ რო წაიკითხოთ, მაინც აზრი ვერ გაიგოთ, ვერავის დაემდურებით.

4) დეპეშა რომ მოგივათ, უეჭველად წიგნში ხელი უნდა მოაწეროთ,—მივიღეო; თუ წერა არ იცით, სხვას უნდა მოაწერინოთ ხელი. თუ შუაღამისას მოგივიდათ დეპეშა, მეზობლები უნდა დაალვიძოთ და ვინც მწიგნობარი აღმოჩნდება, იმასა სთხოვოთ, თქვენ მაგიერად ხელი მოაწეროს.

რკინის გზა.

1) რკინის გზის მატარებლით წამსვლელმა უეჭველად ბილეთი უნდა იყიდოს.

სხოლიო. 10 წელზედ მცირე წლო-

ფერებელმა წესმა, ჩვენის აზრით, სასიხარულო და სანატრელს ახალს სამართალს ბევრი რამ დააკლო.

სამწუხაროდ, მარტო ამითი არ დასრულდა ახალის სამართლის შემოკლება და შემცირება ჩვენთვის. საქართველოს არ მოენიჭა ერთი უდიდესი ორგანიული ნაწილი ახალის სამოსამართლო წეს-წყობილებისა—ნაფიცთა მსაჯულების ინსტიტუტი, მსაჯულთა ამორჩევის უფლება.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ზემოდ, რომ თვით სახელმწიფო კანცელარიამ აღიარა, სამართლიანი მოსამართლე მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მოსამართლე მკვიდრია, რომელმაც კარგად და ზედ-მიწევნით იცის ზნე, ჩვეულება და ხასიათი იმ ხალხისა, რომლის მოსამართლეც გახდება. ჩვენ ეს უფლება არ მოგვენიჭა და ამით დიდი ნაკლულევანება გამოაჩნდა ახალს სამართალს, რადგან მკვიდრის მაგიერ, მოსამართლეობს უცხო, გარეშე კაცი, უცოდინარი ჩვენის ზნე ჩვეულებისა და ხშირად ჩვენის ენისა.

ნაკლებ სამწუხარო და დასაკლისი არ არის, რომ ჩვენში არ შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ევროპაში კუთხეს ვერ იპოვით, სადაც ნაფიცთა მსაჯულნი არა მოსამართლეობდნენ; მხოლოდ კავკასია და ზოგიერთი ნაწილი რუსეთისა მოკლებულია ამ დაწესებულებას. ნაფიც მსაჯულების შემოღებას ჩვენშიც და რუსეთშიც ბევრი მტერი ჰყავდა და დღესაცა ჰყავს. ისინი გაიძახიან, ვითომ ხალხი ჯერ მომზადებული არ არის, რომ ეს უფლება გამოიყენოსო.

ესეთი მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. ნუ თუ ინგლისელები ჩვენზე განვითარებულნი იყვნენ, რომ, რაც თავი ახსოვთ, ამ დაწესებულებით სარგებლობდნენ და იქიდან შემდეგ მთელს ევროპას მოეფინა, ასე რომ, პროფესორ ჲოინიცკის სიტყვით, ნაფიცთა მსაჯულნი უპირველესი ნიშანია განათლებულის სახელმწიფოსი.

ჭეშმარიტად აღიარებულია, რომ განვითარებული დაწესებულება ხალხს ხელს უწყობს წინ მსვლელობის გზაზე, მაშასადამე, ნაფიცთა მსაჯულნი ამ მხრივ აუცილებლივ საჭიროა. ესეც რომ არ იყოს, რა სათქმელია და ან რა ჭკუაში მოსასვლელი, რომ ხალხი, თუნდა განუვითარებელიც იყოს, ცუდს, დაუმთავრებელს უფრო მალე შეითვისებს, ვიდრე კარგს და განვითარებულს?!

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ სიტყვა ასე გაგვიგძელდა, მაგრამ საგანი იმდენად საყურადღებო იყო, რომ ვერ მოვახერხეთ მოკლედ მოგვეჭრა სათქმელი. ესღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, რომ ჩვენს ქვეყანასაც მალე მოჰნიჭებოდეს უფლება თავის მოსამართლის არჩევანისა და ნაფიც მსაჯულების ინსტიტუტი, ურომლისოდაც ახალი სამართალი ბოლო მოჭრილ კაჭკაჭს უფრო ჰგავს, ვიდრე ტურფა იადონს.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** 26 თებერვალს, მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს, სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმერი, საქართველოს ეგზარხოსი. წირვის შემდეგ ეგზარხოსმა და ეპისკოპოსებმა: ალექსანდრემა და ბესარიონმა ქალაქის სამღვდელოებითურთ გარდაიხადეს პარაკლისი წესისამებრ. მრავალ-ჟამიერის გალობის დროს ზარბაზნის სროლა იყო. ქალაქი დილიდგანვე მოირთო სხვა-და-სხვა ფერ ბაირაღებით; საღამოს ჩირაღდანი აანთეს.

*** ქუთაისი: 19 თებერვალს ჩვენმა საბჭომ გარდასწყვიტა: ა) ახალ სამართალის შემოღების 25 წ. იუბილეის გამო ამიერ-კავკასიაში მივართვათ უქვეშევრდომილესი ადრესი მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს; ბ) დღევანდლის დღის სახსოვრად დროებით გამართული გარედამ მოსიარულე ავადმყოფთა თავშესაფარი გადავაკეთოთ სამუდამო და ღარიბთათვის უფასო სამკურნალოდ, სახელწოდებით „სამკურნალო ალექსანდრესი“, მარად მოსაგონებელად იმპერატორის ალექსანდრე II-სა. ამისათვის ვითხოვოთ ცალკე ნებართვა; და გ) გავუგზავნოთ მის უმაღლესობას კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს დეპეშა და გამოვუცხადოთ გრძნობა დიდის მადლობისა და ერთგულობისა დიდებულის რეფორმის წყალობათა მოღებად ჩვენს ქვეყანაზედაც.

მოგვყავს ტექსტი უქვეშევრდომილესის ადრესისა:

თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, უუმოწყალესო ხელმწიფევ!

დიდებულსა და შესანიშნავსა დღეს საუკუნის ერთის მეოთხედის შესრულებისას მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში შემოღებულ იქმნა სამართალი იმპერატორ ალექსანდრე II-ესი, უსაზღვროდ მადლობელნი მკვიდრნი ქუთაისისანი, აღავლინეს რა მხურვალე ლოცვა უზენაესის მიმართ მოსახსენებლად ღვთივ განსვენებულ დიდებულ რეფორმატორისა, მშობლისა თქვენისა უდიდებულესობისა, რომელმაც მოგვანიჭა მართალი და სწრაფი სამართალი, აგრედვე დღეგრძელობად თქვენისა უდიდებულესობისა და უავგუსტოესის სახლეულობისა თქვენისა, სიმდაბლით ემხობიან თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფერხთა წინაშე, გამსჭვალულნი თქვენდა მიმართ მამა-პაპით თან-დაყოლილ ყოვლად უქვეშევრდომილეს გრძნობითა.

ქალაქის მოურავის დეპეშის პასუხად მოვიდა შემდეგი დეპეშა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა:

ქალაქის მოურავს

დიდად გმადლობთ ყველას სასიამოვნო დეპეშისა და გრძნობათა გამოთქმისათვის.

მიხეილ

აი თვით დეპეშაც, რომელიც ქალაქის მკვიდრთა სახელით გაჰგზავნა ქუთაისის მოურავმა ლოლუამ: „შესანიშნავსა დღესა ამას, ოდეს შესრულდა 25 წელიწადი იმპერატორის ალექსანდრე II-ის ახალ სამართლის შემოღების დღიდგან კავკასიაში, მკვიდრნი ქუთაისისანი, აღძრულნი მადლობითა თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობის მიმართ ზრუნვათა თქვენთათვის დიდებულის რეფორმისა ჩვენსა ქვეყანას ზედაცა მოღებისა გამო, გიცხადებენ უღრმესსა, უგულწრფელესსა, უსაზღვროსა მადლობასა და გრძნობასა ერთგულობისასა“.

ქუთაისის ქალაქის მოურავი ლოლუა.

*** ჩვენ მივიღეთ განჯიდამ 22 მან, ბ-ნ ი. ნოდიას მიერ შეგროვილი, განსვენებულ ი. ი. კერესელიძის სახლობის სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას ცალკე დავბეჭდავთ.

*** ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა გარდა კრება მოისმენს ბ-ნ კ. ი. ბორისევიჩის მოხსენებას: „Наблюденія надъ нѣкоторыми вредными насѣкомыми въ Горійскомъ уѣздѣ“. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** დღეს, 28 თებერვალს, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ქართულ დრამატიულ დასის არტისტები, ბ-ნ კოტე მესხის მონაწილეობით, წარმოადგენენ დრამას „შეშლილია“. მომავალ კვირიდგან ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ეფემია მესხი. განზრახვა აქვთ წარმოადგინონ: ახალი ისტორიული პიესა კ. მესხისა „სამშობლოს სადიდებლად“, „მარგარიტა გოტიე“ დიუმასი, „ოტელლო“ და სხვ.

*** ჩვენ მივიღეთ შარშანდელი მე-11 და 12 წიგნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალისა. ამ წიგნში მოთავსებულია წერილები ვ. გეევსკისა: ბრძოლა მინდვრის თაგვთა წინააღმდეგ, ევ. ჟირარისა კარტოფილის შესახებ, დინგელშტეტისა—ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობა ლუი პასტერისა, სტაროსელსკისა—პასტერის შესახებვე, ქალანთარისა—ღვაწლი პასტერისა გადამდებ სენთა საწინააღმდეგო ბრძოლის საქმეში და ქვარიანისა,—ღონისძიებანი რიგიანად ბრძოლისა ფილოქსერის წინააღმდეგ იმერეთში.

*** კავკავის სამხედრო გზიდგან იუწყებიან, რომ გუდაურსა და კობს შუა ზვავი ჩამოწოლილა და ეტლები ველარ დადიან.

*** 24 თებერვალს ბათუმიდან ტფილისს ჩამოვიდა გზათა სამინისტროსა და რკინის გზის საქმეთა საბჭოს წევრი ბ-ნი ნ. ო. მიხნევიჩი.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა ე. ო. იოსელიანმა დეპეშით მიიღო ცნობა ბერლინიდგან, რომ მინდვრის თაგვების მოსასპობად თაგვის სახადის „ბაცილებს“ 12 პატარ-პატარა ყუთებით ამ დღეებში გამოგიგზავნით, მაგრამ გაუწყებთ—ბაცილები 5° ქვემოთ სიცივეს ვერ აიტანენო.

*** მიწათ-მოქმედების და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტს გამოუგზავნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის სოფლის მეურნეთა დასარიგებლად ერთი ფუთი თესლი ისეთ ნაირ ბრინჯისა, რომელსაც სარწყავი წყალი ნაკლებად უნდა სხვა ბრინჯთან შედარებით.

*** თელავი: ყოველ კუთხიდამ სჩიოდნენ ხუნაგით და სხვა ყელის ტკივილით ბავშვების ავადმყოფობას. თელაველებს გვეგონა, როგორც ხოლერას გადავურჩით, ამასაც გადვურჩებოდით, მაგრამ მოვსტყუვდით. ტაროსი შეიცვალა, ყინვები სითბომ დასძლია და გაჩნდა აქაც ყელის ტკივილი, რომელსაც მყივანა-ხველას უწოდებენ. ჯერ ორი იმსხვერპლა: ერთი ძუძუთა ბავშვი და ერთიც დედის ერთა სამის წლის ვაჟი. იქნება, ხუნაგიც იყოს და აქ მყივანა-ხველას ეძახიან. ვინ იცის? ამისთანა ავადმყოფობის დროს პატრონი ექიმს არ უძახის და ექიმი ხომ თვით ავადმყოფს თავის დღეში დაუძახებლივ არა ნახავს!

*** ქუთაისი: გეხსომებათ, რომ ქალაქის საბჭომ ამას წინად გადასწყვიტა, ნუ მიეცემა ნება ხმოსანს ბ-ნს დ. ბ. მიქიაშვილს დაესწროს საბჭოს შვიდს კრებასაო იმ შეურაცჰყოფის გამო, რომელიც მან მიაყენა საბჭოს თავის მოხსენებით შესახებ ახალის საქალაქო დებულების შემოღე-

---

ვან ყმაწვილებს ბილეთი ნახევარ ფასად ეთმობათ. არ დაბადებული ბავშვები მუქთად მიჰყავთ.

2) აკრძალულია ვაგონებში ერთმანერთისაგან საათებისა, ფულისა და სხვა ნივთების მოპარვა.

3) მგზავრებს შეუძლიანთ ვაგონში ქეიფი გაჰმართონ იუბილეისა, დაბადების დღისა, სახელწოდების დღისა ან სხვა დღესასწაულის გამო, იმ პირობით-კი, რომ კონდუქტორიც მიიწვიონ.

4) აკრძალული არ არის: ვაგონში ძილი, ხვრინვა და ძილში ლაპარაკი, ხოლო უშვერი სიტყვების წარმოთმაკი აკრძალულია.

5) ვაგონში არშიყობა აკრძალული არ არის.

6) ვაგონში შეიძლება დაკვრა ჭიანურისა, თარისა, ბუზიკისა, ხოლო ზურნის დაკვრა სასტიკად არის აკრძალული.

7) თუ მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა და მგზავრები დაიხოცნენ, რკინის გზის მმართველობას სამაგიეროს ვერ მოსთხოვენ.

### ახ, ღვინოვ, ღვინოვ!..

ახ, ღვინოვ, ღვინოვ!..
ქართველთ იმედო,
მსურს, ჩემი ტანჯვა
შენ გაგიბედო.

—

ღვინოვ, ხომ გახსოვს
ის ტკბილი ღამე,
(წყნარი დუდუკი
იყო მოწამე),

—

ბეგლარას ბაღში
რომ ვქეფობდი,
ჭანარსა ვჭამდი,
ღვინოს ვყლურწავდი.

—

დრონი იცვალნენ;
გამიტყდა გული:
ქეიფი მინდა,
არა მაქვს ფული.

ვითომ-და პოეტი

### კონვერსია.

(სცენა)

ღამის ორი საათია. გვარიანი „ოტსტავნოი“ პოლკოვნიკი ინჩიმე უდარდელაძე, 65 წლის კაცი, სავარძელში გადაწოლილა, გაზეთს კითხულობს. შემოდის მისი ახალგაზდა მეუღლე თეკლე.

— რით ვერ მორჩი, ყმაწვილო, მაგ გაზეთს? ხომ ჰხედამ, შუაღამე გადავიდა... მეძინება!

— ცოტაც მაცალე, ჩემო სულიკო... არ იქნება და... ძალიან საინტერესო სტატიას ვკითხულობ: „რა არის კონვერსია?“ თუ გინდა, შენც წაგიკითხავ.

— მეძინება... გაიგეთ, თუ არა, მეძინება!

— ქალო და, თუ-კი მაგრეა, დაიძინე, ვინ გიშლის?

— ოჰ, ეს კონვერსია, კონვერსია! რაც ეს რაღაც წყეული კონვერსია მოიგონეს, ჩვენი სახლი სულ აირივდაირივა!

— ჩემო კარგო, ჩემო გვრიტო, აქ კონვერსიაზედ-კი არა, მთლად ქართველობაზედ ð „ივერიაზედ“ არის ლაპარაკი. ვერაფერი მამულის მოყვარული მეუღლე მყვეხარ, ჩემო ძვირფასო.

— მაშ, კარგი! აბა წაიკითხე.

— ეს, ჩემო თეკლე, ისეთი შესანიშნავი სტატიაა, რომ ძალიან სულ დაგაფიქრებს. აბა ყური დაუგდე!

(კითხულობს „კვალის“ მე 7 ნომრიდამ): „ახლა ჩავუკვირდეთ თვითონ საგანს. რა არის კონვერსია? ის არის, რომ, რაკი ფული გაიაფდა და ფულის პატრონი ექვსის პროცენტის მაგიერად ხუთსა სჯერდება, მეც, ბანკის მოვალეს, ისე მომიხერხოთ, რომ უდავიდარაბოდ, უნოტარიუსოდ, ჩემი აღებული ექვს პროცენტიანი ვალი ხუთ-პროცენტიანად გადამიქციოთ, რომ ყოველ ათ თუმანზედ წელიწადში ექვსი მანათის მაგიერ, ხუთი მანათი გამომართვათ“.

— არაფერი არ მესმის!

— როგორ არა, ჩემო სიცოცხლევ, აქ გაუგებარი რა არის? აი, ვსთქვათ, შენ ჩემი ექვს-პროცენტიანი გირავნობის ფურცელი ხარ. აღარ მინდა ექვსის პროცენტის ძლევა, ხუთ პროცენტად ვშოვობ ფულს. ავიღებ და შენ შეგცვლი ხუთ-პროცენტიან ფურცელზედ.

— რაო, რაო? ეგეც მაკლდა! უნდა გამცვალო სხვაზედ?

— ეეჰ, არა, ქალო, შენ კი არ უნდა გაგცვალო, ისე მაგალითად მოგახსენე.

— არ მინდა ასეთი მაგალითი. ისე ჩამაგონე, რომ შენ იყო ექვს პროცენტიანი ფურცელი.

— კარგი, ძალიან კარგი. აი მე, ვსთქვათ, ექვს-პროცენტიანი ფურცელი ვარ...

— პეტრ ივანიჩი კიდევ ხუთ-პროცენტიანი? არა?

— ჰო, ვსთქვათ.

— მე კიდევ ბანკი ვარ მითომ არა?

— ჰო, ვსთქვათ. აი ეხლა კონვერსია ასე უნდა გაკეთდეს: უნდა მე შემცვალო ივან პეტროვიჩზედ, გაიგე?

— მივხვდი.

**

(მეორე დღეს)

— ამას რას ვხედავ? ეს რა ამბავია? ჩემი ცოლი ჰკოცნის ივან პეტროვიჩს! როგორ თუ?...

— მოითმინეთ, ბატონო, მე კონვერსიას ვახდენ.

— როგორ თუ კონვერსიას?

— რა ვქნა, რა გაჯავრებთ! თქვენ არ მასწავლეთ, კონვერსია ეს არისო.

— ქალო და, მე მაგალითად გე...

ზისა. ამის გამო ბ-ნმა მიქიაშვილმა საჩივარი მიართვა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. გუშინ 24-ს ამ თვისას, საკრებულომ განიხილა საჩივარი ბ-ნ მაქიაშვილისა და განაჩინა, რომ გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოსი შესახებ მაქიაშვილის განდევნისა საბჭოდამ კანონიერი არ არისო. ამ სახით, ბ-ნი მაქიაშვილი გამარჯვებული დარჩა.

*** სოფ. ქარელი. (გორის მაზრა) ქარელის რკინის გზის სადგურზედ ერთი უბედურობა დატრიალდა: ამ თვის 21, ღამე, ამავე სადგურის ჟანდარმი ალექსეევი (როგორც თითონვე ამბობს) წასულიყო დუქანში კვერცხის სასყიდლად. როცა დაბრუნებულა, სადგურზედ ცოტა მოშორებით გზაში ხუთი კაცი ოსი დახვედრია. საბრალო ალექსეევისთვინ ისე ძრიელ ეცემნათ, რომ მეორე დღეს თავ-პირი დარუმბებული და ჩაშავებული ჰქონდა; სიმსივნისა გამო თვალით ველარას ხედავდა. მაშინვე სადგურის უფროსმა მოიწვია რკინის გზის ექიმი, რომელმაც ნახვისათანავე მისცა წამალი, სიმსივნის დასაცხრომი. მესამე ღამეს ჟანდარმი ალექსეევი ჭკუაზე შეიშალა. არავინ იცის, შიშისაგან, თუ სხვა რაიმე მიზეზით დეემართა ეს უბედურება. ალექსეევი ტფილისს წაიყვანეს რკინის გზის სამკურნალოში. საბრალო ალექსეევს ცოლ-შვილი დარჩა უნუგეშოდ.

*** ტფილისის მაზრის სოფ. ახალ ნიკოლაევის მცხოვრებელმა იაკობ კაზაკმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 25 თებერვალს რამდენსამე კაცს ურმით ნახშირი მოგვქონდა. ნავთლუღში თავს დაგვეცა ოთხი შეიარაღებული კაცი, ურმიდამ ცალი ხარი გამოხსნეს და გაიქცნენო. ხარი დაკლული იპოვნეს მარტიროზოვის საყასბოში და დამნაშავენიც აღმოაჩინეს.

*** 26 თებერვალს პაპკოვის წისქვილთაქ ტკვარში გადავარდა ვიღაც ქალი და თავი დაირჩო.

*** პოლიციის ?ოხელემ ბაბალოვმა აღმოაჩინა მე-9 და 10 საპოლიციო უბნებაში მთელი ბრბო ქურდებისა, რომელთაც უპოვნეს რკინის კეტები და სხვა იარაღი სახლების გასატეხად.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საგანგებო კრება

(დასასრული *)

ბ-ნი ა. კობიაშვილი. თ. ი. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ, სამწუხაროდ ჩვენდაო, ჩვენის ბანკის კრებანი კერძო ანგარიშების და ინტრიგების სარბიელად გარდაიქცაო. ვისზედ ამბობს ამას? ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ი. ჭავჭავაძეა ბუდე პირადის ანგარიშებისა და ინტრიგებისა...

ამ სიტყვებზედ კრებამ ჩოჩქოლი დაიწყო, ასე რომ ბ-ნმა კობიაშვილმა ლაპარაკი ველარ განაგრძო. როცა კრება დაწყნარდა, თავმჯდომარემ კვლავ განიმეორა, რა საგანი ჰქონდა კრებას განსახილველი.

შაჭაზიზოვი. რა დიდი ლაპარაკიდა უნდა იმას, რომ კონვერსია საჭიროა და, რაც მალე იქნება, ის უკეთესი. რატომ არ უნდა მივიღოთ გამგეობის აზრი, რომ კონვერსია სახელმწიფო ბანკის შემწეობით მოვახდინოთ? სახელმწიფო ბანკის შემწეობას იმით იწუნებენ, რომ სახელმწიფო ბანკი თხოულობს, მე დამეკუთნოსო გასანაღდებელი ფული იმ გირავნობის ფურცელისა, რომელიც ტირაჟში გამოვა და ათის წლის განმავლობაში არ წარმოდგება გასანაღდებლადაო, მაგრამ ეს დანაკარგი ჯერ რომ ბევრი არა არის რა თავის თავად და, თუნდაც ბევრი იყოს, რა გაეწყობა, თუ უამისოდ სახელმწიფო ბანკი არა კისრულობს კონვერსიის საქმეს. ჩვენ გამგეობის აზრი მივიღოთ ამის შესახებ და იმედი ვიქონიოთ, რომ იგი ეცდება ყოველივე ინტერესი ჩვენის ბანკისა სახეში მიღებულ ჰქონდეს მოლაპარაკების დროს და, შეძლებისამებრ, დაცულ იქმნას. კონვერსიის მოხდენა სახელმწიფო ბანკის შემწეობით იმოდენად სასურველია, რომ ამ მცირეოდენის მიზეზით არ უნდა ბრკოლდებოდეს და გამგეობას უსათუოდ დავაბრკოლებთ, რომ ამ საქმეში ეს მიზეზი სამზღვრად დავუდოთ.

ან. ფურცელაძე. განა შესაძლო არ არის, თუ მაგ მხრით ჩვენს ბანკს ზარალი რამ მიეცემა, ეგ ზარალი თვით მსესხებელთ საერთოდ გვიზღონო?

თ. დ. ჯაყელიშვილი. მაგას არ შეიწყნარებს მინისტრი, რადგანაც ამ უკანასკნელს დროს შეხედულება სამინისტროსი ამ საქმის შესახებ სრულიად შეიცვალა. ერთს უმთავრეს პირობად მინისტრმა დაუდო ბანკებს ის, რომ მსესხებელთა არავითარი გადასახდელი არ დაედოთ კონვერსიის გამო. დასამტკიცებლად ამისა მომყავს სტენოგრაფიული ანგარიში, საიდამაც სჩანს ესეთი შეხედულება სამინისტროსი. უნდა მოგახსენოთ, სამინისტრო ეხლა თითქმის ჰნანობს, რომ წინანდელი კონვერსიები ისე მოხდა, რომ ბანკიდამ ვალის ამღებთ საგრძნობელი ხარჯი დააწყდათ თავს. სარწმუნო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ბანკიდამ ვალის ამღებთ 200,000 მან. ტყუილ-უბრალოდ გადიხადეს, რადგანაც კერძო ბანკების შემწეობით მოახდინეს კონვერსია და ამისათვის იმ ბანკებმა თავისი გასამრჯელო აიღეს. საადგილ-მამულო სააქციონერო ბანკების წარმომადგენელთა უკანასკნელს კრებაზედ, რომელიც მოწვეული იყო კონვერსიის საქმის გამო, დიდი ბაასი და კამათობა ჩამოვარდა იმის შესახებ, რა გზით და რა ღონისძიებით მოვახდინოთ შემდეგი კონვერსიაო. ზოგნი ისევ წინანდელ კონვერსიის გზასა და საშუალებას რჩეობდნენ, ზოგნი ამის უარზე იყვნენ, რადგანაც ძვირად ჯდებაო და ამბობდნენ, ისევ ისა სჯობია ჩვენის თავისუფალის ფულით ნაწილ-ნაწილ მოვახდინოთ შემდეგი კონვერსიაო და გადაწყვეტილი-კი ვერა სთქვეს-რა. თავსმჯდომარემ ამ კრებისამ ყოველივე ეს აცნობა ბ-ნს მინისტრს და შემდეგს კრებაზედ მოიტანა სრულიად მოულოდნელი ამბავი, რომ მინისტრმა ბრძანაო, ამ საქმეში სახელმწიფო ბანკს ნებას მივცემ დაგეხმაროთო და ამ დახმარებისათვის არავითარს ხარჯს არ გადავახდევინებ არც ბანკებს, არც მსესხებელთ, გარდა ათასზე $^{1}/_{3}\%$ სა გასამრჯელოდ სახელმწიფო ბანკის მოხელეთათვის, რადგანაც შრომა მოემატებათ, არა მათ პირდაპირ მოვალეობისაგან წარმომდგარიო. თუმცა ესეა, მაგრამ უადგილო არ იქნება ვეცადოთ, შეიძლება მეტი შეღავათი მოგვცეს მინისტრმა იმ პატივ-სადებ საბუთით, რომ ჩვენი ბანკი სააქციონერო ბანკი არ არის და მისი მოგება აქციონერების ჯიბეში-კი არ ჩადის, საქვეყნო საჭიროებას ხმარდება.

ამის დასამტკიცებლად თ. დ. ჯაყელიშვილმა წაიკითხა ის ადგილი სტენოგრაფიულის ანგარიშისა, სადაც სწერია, რომ თავმჯდომარემ, აუწყა რა ზემოხსენებული ამბავი კრებას, მიუბრუნდა კრებაში მყოფ დირექტორს საკრედიტო კანცელარიისას ედუარდ დიმიტრის ძეს ბ-ნს პლესკეს და ჰკითხა, ისე გადაეცა კრებას თუ არა სურვილი და აზრი ბ-ნის მინისტრისაო და ედუარდ დიმიტრის ძემ (ბ-ნმა პლესკემ) უპასუხა: სწორედ ეგრე ბრძანა ბ-ნმა მინისტრმა, თქვენო აღმატებულებავო.

თ. ი. მაჩაბელი. მთელი ეს ლაპარაკი ამტკიცებს, რომ გამგეობას თითონაც ვერ გაუგია, რა სურს ჩვენგან. ჯერ ამბობდა 1000 მანათზედ $^{1}/_{3}\%$ მეტი არ დასჭირდებაო; ეხლა წაკითხულიდგან გავიგე მხოლოდ, რომ ეს ხარჯი სხვა ჩვეულებრივს ხარჯს გარდა აწვება ბანკს თავსა. მე არ მესმის, რადა ვწვალობთ ამდენს. ედუარდ დიმიტრიევიჩის *) აზრის მოტანას, არ აჯობებდა წესები დაებეჭდათ და ეთხოვნათ რომელისამე ბანკისათვის გამოეგზავნა კოპიო სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებისა—რუსეთში ხომ ყველა ბანკებმა ასე გაათავეს თავიანთი კონვერსია—და არავინ არ დაუჭერდა ამ კოპიოს. თორემ ეხლა იძულებულნი შევიქენით მიხვედრილობით შევავსოთ გამგეობის მოხსენება.

თ. ი. ჭავჭავაძე. აბა, ბატონებო, შეჰხედეთ ამ ლაპარაკს და ანგარიში გაუწიეთ. კრების თავსმჯდომარე, სამინისტროს ერთი დიდ მოხელეთაგანი საერთოდ აუწყებს კრებას, მინისტრმა ესა და ეს ბრძანაო და დირექტორი ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიისა ედუარდ დიმიტრის ძე ემოწმება, დიახ, სწორედ ეგრე გახლავთო და თ. ი. მაჩაბელი-კი არ ერწმუნება და დაიცინება, ეგ ვიღაც ედუარდ დიმიტრის ძე აქ რა მოსატანიაო. მე ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ თ. მაჩაბლის ამ შემთხვევაში უჯერობა ღირსი იყოს პასუხის გებისა, არამედ იმისთვის, რომ ცხადად დაინახოთ, ზოგიერთი კაცი როგორ ეპყრობა საქმეს და საქმის ვითარებას. მაშვილას უნდა ვუჯერებდეთ, თუ არ იმისთაკაცებს, რომელთაც ფინანსთა სამინისტროში ამისთანა დიდი ადგილები უჭირავთ. ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ ან ერთმა ან მეორემ, სასაცილოდ აგდებულმა, მითამ-და „ვიღაც“ ედუარდ დიმიტრის ძემ კრება მოატყუეს და ნამდვილი აზრი და სურვილი მინისტრისა არ აუწყეს კრებას!

თ. ი. მაჩაბელი. თქვენც რა გაგიჭირდათ კოპიოს დაბარება, ან თუ მართლა ცენზურამ ნება არ დაგრთოთ, როგორც აქ გუშინ ვიღამაცა სთქვა, პეტერბურგოდ წესების გადმობეჭდვისა, განა არ შეგეძლოთ იანვრის 26-დამ, როცა კომიტეტმა თავის გარდაწყვეტილება დაადგინა, თებერვლის 14-მდე ტელეგრამით გამოგეთხოვათ ნება და ხელად დაგებეჭდათ ეგ ორი გვერდი.

თ. დ. ჯაყელიშვილი. რა ძალიან ჩასციებიხართ მაგ კოპიოს. თუ ძალიან მოწადინებული ხართ, კოპიო აქა გვაქვს. სულ რამდენიმე მუხლია, ერთს წუთს წავიკითხავ, მაგრამ სულ ერთია: თქვენ ხომ მაინც არ დაინახავთ მას, რაც ჩვენი გასამართლებელია.

თ. ი. მაჩაბელი. აბა მაგ წაკითხულში სადა სწერია, ვითომ სახელმწიფო ბანკი გასამჯელოდ თხოულობდეს, რომ ტირაჟში გამოსულ და ათის წლის განმავლობაში არ წარმოდგენილ ფურცლების ფული, პირობად დამიდეთ, მე მეკუთვნოდესო *)?

---

*) იხ. „ივერია“ № 42.

*) ჩვენ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გაზ. „კვალთან“ ერთად დაგზავნილს ანგარიშში თ. მაჩაბლის სიტყვები ედუარდ დიმიტრის ძის შესახებ ისე არ არის მოყვანილი, როგორც იყო ნათქვამი კრებაზედ. თ. ი. მაჩაბელმა სთქვა:... „იმის მაგიერ რომ მინისტრისაგან დადგენილი წესები ეუწყებინათ, ჩვენის ბანკის გამგეობის წევრნი მოჰყოლიან და რაღაც სტენოგრაფიულს ანგარიშებს გვიკითხვენ და გვეუბნებიან, ვიღაც ედუარდ დიმიტრის ძემ სადღაც ესა სთქვაო“.... და სხვანი.

*) ეს სიტყვები თ. ი. მაჩაბლისა „კვალთან“ ერთად დაგზავნილს ანგარიშში არ არის მოყვანილი და არა გვგონია კრებას არ ახსოვდეს, რომ ეგ იყო თქმული, რადგანაც სწორედ ამ სიტყვებმა გამოიწვიეს შემდეგი ლაპარაკი და წაკითხვაც სახელმწიფო ბანკთან ხელშეკრულობისა, რომელშიაც ეგ პირობა მოხსენებულია.

---

ბნებოდი,

— მეც მაგალითად ვაკეთებ კონვერსიას.

— ??!!

ა—ო.

---

### ნ ა კ ვ ე ს ი.

ერთი ქართველი კაცი ძლიერ ავად გახდა, შესჩივლა მკურნალს და ღმერთს შევედრა:

— ღმერთო, იმდენ ხანს მაინც მაცოცხლე, რომ ვალები გავისტუმროვო.

— სამწუხაროდ, ამ ქვეყნად უვალავი არავინ არისო, მიუგო მკურნალმა.

---

### „ზურნის“ კანონმდებლობა.

არც ერთ სახელმწიფოში კანონით აკრძალული არ არის:

მოკვლა—რწყილისა.

მოწამვლა—თაგვებისა.

დაჭრა—ნესვისა.

ცემა—ტაშისა.

მოტაცება—ქალისა.

ძალდატანება — ჭკვისაო, იქნება სთქვას მკითხველმა და ამიტომ აღარ განვაგრძობთ.

### რეცენზია

როგორც მოგეხსენებათ, თეატრს დიდი დანიშნულება აქვს. თეატრი არის სკოლა, თეატრი არის ტაძარი, ერთის სიტყვით, თეატრს ნუ ეხუმრებით, თეატრის საქმე წმიდა საქმეა და ამიტომ თეატრში წარმოდგენილი პიესა კარგი უნდა იყოს. სამწუხაროდ რას ვხედავთ?

30 თებერვალს, ჩვენმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა „ვაი უფულობისაგან“. პიესა 5 მოქმედებიანია. მართალია, შინაარსი პიესისა ცუდი არ არის, მაგრამ პიესას მაინც ბევრი ნაკლი აქვს; ურიგო არ იქნებოდა, ავტორი კარგად დაჰკვირებოდა იმ საგანს, რომელიც პიესის სიუჟეტად აუღია.

წარმოდგენის დროს ბუფეტში ვიყავით. კარგ ღვინოს ჰყიდის ჩვენი გიორგი, საჭმელებსაც არა უჭირს-რა, მაგრამ ცოტა ძვირად-კია ყველაფერი.

ანტრაქტების დროს-კი თეატრის ფოიეში დავსეირნობდი. ნაცნობი ქალები ბევრნი იყვნენ: ისიც-კი ვნახე...

მაგრამ, უკაცრავად, პიესაზე უნდა მეთქვა რამ. საზოგადოდ პიესამ ურიგოდ არ ჩაიარა. ხალხი საკმაოდ იყო. რაც შეეხება მოთამაშეთ, ვ. აბაშიძემ და მ. საფაროვასამ მშვენივრად ითამაშეს.

რეცენზენტებო! ასე არა სწერთ რეცენზიას?..

---

### „ზურნის“ ფილოლოგია

რადგანაც ჩვენმა მეგაზეთეებმა ბევრი ისეთი უცხო სიტყვები შემოიღეს, რომ მკითხველს არ ესმის ხოლმე, ამიტომ „ზურნის“ რედაქციას მოვალეობად მიაჩნია, ეს სიტყვები აუხსნას. გვგონია, მადლიერი დაგვრჩებით, რადგანაც ფილოლოგიას დიდი შრომა და დიდი ცოდნა უნდა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ექვსი სიტყვა გამოვიკვლიეთ:

კონცესიონერი. ეს სიტყვა წარმოსდგება ორ სიტყვისაგან: ლათინური concesstt (კონცესიტ)—დასთმო, გასწირა და ფრანგული honneur (ჰონერ)—სინიდისი. მაშასადამე, კონცესიონერი ისეთს კაცსა ნიშნავს, რომელიც ფულის გულისათვის სინიდისსაც-კი დასთმობს.

ვექსილი. ეს სიტყვა წარმოსდგება ლათინურ სიტყვისაგან: vexo (ვექსო)—ვსწუხდები. როცა ვექსილის ვადა დგება, კაცი სწუხს ხოლმე, სად ჯანაბაში ვიშოვო ფულიო.

კასსა (დახლი). ეს სიტყვა ფრანგულია. casser (კასსე) ნიშნავს დამტვრევას, გატეხას. ეს სახელი ალბად იმიტომ დაურქმევიათ დახლისათვის, რომ ვისაც ფულის მოპარვა უნდა, ჯერ დახლი უნდა გასტეხოს.

ინჟენერი. ლათინური in (ინ)—არა და ფრანგული gêner (ჟენე)—მორიდება. მაშასადამე ინჟენერი არაფერს დაერიდება, ოღონდ-კი ჯიბე გაიტენოს.

კაპიტალისტი. ორ სიტყვისაგან წარმოსდგება: ლათინური capit (კაპიტ)—იღებს და გერმანული all (ალ)—სულ. მაშასადამე, კაპიტალისტი ისეთი კაცი ყოფილა, რომელიც ცდილობს, სადაც კი სადმე ფულია, სულ მე ავიღოვო.

კონვერსია. ლათინურ ორ სიტყვისაგან წარმოსდგება: con (კონ)—ერთად და verso (ვერსო)—ვატრიალებ. მაშასადამე, კონვერსია ისეთი საგანი ყოფილა, რომელსაც ბანკის ოპოზიციონისტები ყველანი ერთად გარს დასტრიალებენ.

სხოლიო. მეორე ახსნაც არის. ჩემი მეგობარი ადიკო კონვერსიას სხვა სიტყვებიდგან აწარმოებს. ვითომ Конь (კონ)—ცხენი და ვერსიც ხომ ვერსიაო. კონვერსიას რომ გავიგონებო, ბძანებს ადიკო, იმ წამსვე ცხენზედ უნდა შევჯდე ხოლმე და ერთ ვერსზედ გავქუსლოვო.

ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულ ადიკოს აზრსა.

ნასწავლი მეზურნე.

---

### განცხადება.

„ნაგომრიანი“ ჰნიშნავს იმ ადგილს, სადაც ოდესმე გომი ანუ გომები ყოფილა და აწ-კი აღარ არის. „ნასახლარი“—ადგილს, სადაც ოდესმე სახლი მდგარა. „ნაფეტვრები“, „ნაფეტვრებიანი“—ადგილს, სადაც ფეტვი აღარ არის, მოუმკიათ. „კვალის“ სურათებს, ოქროს ჩარჩოში გაწყობილს, მივცემთ საჩუქრად, ვინც აგვიხსნის, რას ნიშნავს სიტყვა „ნახატებიანი“?

რედაქტორები: კუპრია და ადიკო.

თ. ი. ჭავჭავაძე. კონვერსიის შესახებს საქმეებში რომ კარგად ჩაგეხედნათ, ან ნახული დაგენახათ, მაგასაც იპოვიდით.

თ. ი. მაჩაბელი. ხომ პირობა დასდეს სააქციონერო და სახელმწიფო ბანკებმა ერთმანეთ შორის, რატომ ეს პირობა არა გაქვთ და არ წარმოგვიდგენთ თქვენის სიტყვების საბუთად?

თ. ი. ჭავჭავაძე. აქ სასაცილოდ აგდებულს სტენოგრაფიულს ანგარიშში ყოველი მუხლი მაგ პირობისა მოხსენებულია და აი წაგიკითხავთ.

აქ თ. ი. ჭავჭავაძემ წაიკითხა სხვათა შორის მერვე მუხლიცა ხსენებულ ბანკებ შორის დადგენილ ხელშეკრულობისა, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ ხსენებული პირობა სახელმწიფო ბანკმა დაუდო სააქციონერო საადგილ-მამულო ბანკებს.

თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი. ბატონებო, მე ბოდიშს ვიხდი, რომ მცირეოდენს ხანს თქვენი ყურადღება საჭიროა სულ სხვა საქმეს მივაქციო. ამ კრებაზე ჩვენ გავხდით მოწამედ ერთის მეტად სამწუხარო გარემოებისა. ბ-ნმა კობიაშვილმა მძიმე და სრულიად უსაფუძვლო ბრალი დასდო, დიდი შეურაცხ-ყოფა მიაყენა ჩვენს პატივცემულს საზოგადო მოღვაწეს, თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც ოცი და ოც-და-ათი წელიწადია ემსახურება ყოველ გვარს ჩვენს საზოგადო საქმეს. ამისთანა კაცები შემდეგში უფრო ბევრ ნაირად გამოადგებიან ქვეყანას, რადგან მოსალოდნელია დაბადება და დაწყება ბევრის რთულისა და საზოგადო საქმეებისა, რომელთა გასაძღოლად საჭირო იქნებიან მომზადებულნი და გამოცდილნი საზოგადო მოღვაწენი. ყოველ ამის გამო და იმიტომაც, რომ ზემოხსენებულისთანა სამწუხარო ამბავი აღარ გამეორდეს და თვითონ ბ-ნი კობიაშვილიც ჰრიდობს და ველარ გარეულა აწინდელ ლაპარაკში მაშინ, როდესაც მისი აზრი დღევანდელ სალაპარაკო საგანზე ჩვენთვის სასურველია ვიცოდეთ, მე ვსთხოვ ბ-ნ კობიაშვილს, რომელმაც ასეთი შეურაცხ-ყოფა მიაყენა თ. ჭავჭავაძეს და, მაშასადამე, მთელს კრებასაც, სთქვას აქვე საჯაროდ და გულწრფელად, ჰქონდა თუ არა რაიმე საფუძველი, ისეთი მძიმე ბრალი დაედო თ. ჭავჭავაძისათვის, ვითომ ის იყოს ბუდე ინტრიგებისა და კერძო ანგარიშების მიმდევრობისა, და თუ არავითარი საფუძველი არა ჰქონდა, ვსთხოვ აქვე ბოდიში მოიხადოს.

ა. ი. კობიაშვილი. გულ-წმინდად ვაღვიარებ, რომ იმ სიტყვების თქმისათვის არავითარი საფუძველი არა მქონდა და ამიტომ გულ-წრფელად ვიხდი თ. ჭავჭავაძის წინაშე ბოდიშს. ვსთხოვ მხოლოდ თ. ჭავჭავაძეს, იმანაც გულ-წრფელად გამოაცხადოს, ვყავდი თუ არა სახეში მე, როცა გუშინდელ კამათობის დასურათების დროს მან სთქვა, ჩვენი კრებანი კერძო ანგარიშებისა და ინტრიგების ასპარეზად გადააქციეს ზოგიერთებმაო.

თ. ი. ჭავჭავაძე. ჩემს სიტყვაში მე ორჯელ ვსთქვი, რომ მხოლოდ ბ-ნი კობიაშვილი ლაპარაკობდა საკუთრად საქმის შესახება-მეთქი. ეხლაც ამასვე ვიმეორებ და ვისზე იყო თქმული ჩემი სიტყვები, ამის შემდეგ ყველასთვის ცხადია.

მერმე კიდევ იყო მცირეოდენი ლაპარაკი და ამ ლაპარაკმა გამოარკვია შემდეგი: თუ ნაწილ-ნაწილ, ბანკის თავისუფალ ფულის შემწეობით, მოხდა კონვერსია, გამგეობის მიერ ნაჩვენები ხარჯი, $^1/_4$%, რომელიც უნდა დაეკისროს მსესხებელს, ცოტა იქმნებაო და სჯობს მაგ ხარჯისთვის $^1/_2$% დაინიშნოსო. შემდეგ ამისა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საქმე ასე თუ ისე გამოირკვა, ამ საქმისა ჰოცა და არაც შევიტყეთ და ახლა გადასწყვიტეთ: ამტკიცებთ თუ არა გამგეობის მოხსენებას კონვერსიის შესახებაო.

კრებამ გადასწყვიტა: მიეცეს ნება გამგეობას, კონვერსია შეასრულოს ან სახელმწიფო ბანკის შემწეობით ისე, როგორც მოხსენებაშია ნაჩვენები ან თვით თავისის თავისუფალის ფულით მოახდინოს, კონვერსია შეძლებისამებრ, ნაწილნაწილ იმ პირობითკი, რომ ბანკის მოვალეებს გადახდეს ხარჯის დასაფარავად $^1/_4$%-კი არა, როგორც გამგეობის მოხსენებაშია, არამედ $^1/_2$%.

# დეპეშა

25 თებერვალი.

**პარიჟი.** პანამის საქმე. სასამართლოს დარბაზი ხალხით ავსებით სავსეა; შარლ ლესეპსმა სთქვა: როცა სალატარიო ობლიგაციების გამოცემის კანონ-პროექტი უნდა წარდგენილიყო, გერცს ფული მივეცი, რადგანაც დიდი გავლენა ჰქონდა. ლესეპსმა სთქვა აგრეთვე, ბლონდენმა მითხრა, მინისტრი ბაიო იმ პირობით წარადგენს სალატარიო ობლიგაციების გამოცემის პროექტს, თუ ერთს მილიონს მისცემთო; ლესეპსმა ბაიოს 375,000 ფრანკი მისცა; რეინაკმა 10—12 მილიონი ითხოვა; ლესეპსმა უარი უთხრა, მაგრამ ფრეისინეს ძალ დატანებით 5 მილიონი მისცა რეინაკს, ბოლოს ლესეპსმა დასძინა, არტონის ხელით 300,000 ფრანკი შევიტანეთ, რომელიც ფლოკემ ითხოვა არჩევანებისა და გაზეთებისთვისაო; ეს ფული გადავიხადეთ, ვიდრე სალატარიო ობლიგაციების კანონპროექტი წარედგინებოდა პალატასაო.

26 თებერვალი

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება: გამოცემულ იქმნას 1893 წლის ახალ შინაგან სესხის $4^1/_2$ პროცენტიანი ობლიგაციები ას მილიონ მანეთისა. ობლიგაციები იქნება 100, 500, 1000, 5000, და 10,000 მანეთიანები. სარგებელი ითვლება 1893 წლის 1 მარტიდგან. ტირაჟი მოხდება ყოველ წლივ 1 დეკემბერს და 1 ივნისს, 1893 წლის დეკემბრიდგან. ფინანსთა მინისტრმა დაავალა სახელმწიფო ბანკს, ამ სესხის განაღდებას 1893 წლის 1 მარტიდგან შეუდექით პეტერბურგის სახელმწიფო ბანკისა და სხვა ქალაქების სახელმწიფო ბანკის განყოფილებებშიო.

**პარიჟი.** თავმჯდომარემ ჩვენება ჩამოართვა ბაიოს, რომელმაც მეტად აღელვებულმა სთქვა: „დამნაშავე ვარ და ეხლაც ვერ გამიგია, როგორ ჩავიდინე დანაშაულობაო (ხალხში ხანგრძლივი ჩოჩქოლია); პატიებას ვითხოვ მამულისაგან, რომლის დიდებულ სახელს, იქნება, ჩირქი მოვცხე“; შემდეგ ბაიომ სთქვა, ბლონდენის ჩაგონებით ვიქცეოდი, რომელსაც 75,000 ფრანკი გადავეცი; ეს ფული უკან უნდა დამებრუნებინა, მაგრამ შემეშინდა, ჩემ თავს მევე გავცემდი. დასასრულ ბაიომ დასძინა, მე ძლიერა ვსწუხვარ და სასოწარკვეთილებამდე მივაღწიეო. (ხალხში ხანგრძლივი ჩოჩქოლია). სან-ლეროამ სთქვა, პანამის საზოგადოებისაგან არასოდეს ფული არ მიმიღიაო; ის 200,000 ფრანკი, რომლის მიღებასაც მაბრალებენ, ჩემს ცოლს ეკუთვნის და თუ აქამდე არ გამოვაცხადე, ეგ იმიტომ, რომ სამართალისაგან განთავისუფლება-კი არ მინდოდა, არამედ სრული გამართლებაო.

26 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გვარდიის საგრენადერო კავალერიის მეორე დივიზიის უფროსს გენერალ-მაიორს დიდ მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს ემოძა გენერალ-ლეიტენანტობა.

**ლონდონი.** პეკინიდგან დეპეშით აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ პეტერბურგში ჩინეთის წარმომადგენლად ნამყოფს ხუნგო-კუნს ცენზორებმა ბრალი დასდეს, პამირის ერთი ნაწილი რუსეთს დაუთმოვო და გადასწყვიტეს, სიკვდილით დაისაჯოსო; ეს გარდაწყვეტილება ჯერ დამტკიცებული არ არის, რადგანაც ხუნგო-კუნი ქვრივ იმპერატრიცის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

27 თებერვალი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო იკვლევს პროექტს საგლეხო დაწესებულებათა შეცვლის შესახებ ბალტიის მხარეს.

ამბობენ, რომ ქირით დაჭერილ სახლის გარდასახადიდგან თავისუფალნი იქნებიან: საქრისტიანო სამღვდელოება, უცხო ქვეყნების დესპანნი, მთავარი ელჩები, ელჩების აგენტები და არქიელთა სახლები.

**ვენა.** ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ დრეზდენის კონფერენციის ავსტრიელნი დელეგატები უკვე გაემგზავრნენ დანიშნულებისამებრ.

**ბერლინი.** რეიხსტაგის სამხედრო კომისიამ ხმის უმეტესობით (გარდა 9-ისა) უარ-ჰყო სამხედრო კანონის მეორე მუხლი, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქვეითა ჯარისა და არტილერიის მომატებას; დანარჩენი ნაწილი ზემოხსენებულ მუხლისა ყველამ უარ-ჰყო გარდა 6-სა; შემდეგ უარ-ჰყვეს აგრეთვე მუხლი 1-ლი რომელიც შეეხება ჯარის რაოდენობას მშვიდობიანობის დროს. ამ რიგად პროექტი პირველად განხილულ იქმნა; მეორედ განხილვა ხუთშაბათს დაიწყობა.

**პარიჟი.** პანამის საქმე: ჩამოართვეს ჩვენება პროკურორის მიერ მიწვეულ მოწამეს. ექსპერტმა ფლორიმ იანგარიშა, რომ პ. ნამის საზოგადოებამ გაზეთების განცხადებებზე და დახმარების აღმომჩენელთათვის დაუხარჯავს 105 მილიონი. ეხლანდელი აქტივი კამპანიისა 200 მილონია, 1,200,000,000 დღ:ნ საქმეს მოჰხმარებია სულ 558 მილონი.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა კლიველენდმა გამოიტანა სენატიდამ გარრისონის მიერ წარდგენილი პირობის ქაღალდი გავაიის კუნძულების შემოერთების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 25 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,58 | 7,61 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | $151^1/_4$ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,07 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 240 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $227^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

ვიდებ შესაკერად ქალის
## კაბებს
მეტად ნაკლებ ფასად
ადრესი: ავლაბარი, ჟანდარმის ქუჩა, პოკროვსკის ყაზარმის პირდაპირ, საკუთარი სახლი, № 12.

აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა
ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჰიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში $7^1/_2$ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჰიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ხაქათალაში—ძმ. პასხალიდების კანტორას.

(12—6)




თესლეულობით ვაჭრობა
გ. გ. ლარმესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მ ი ი ღ ე
## ახალი თესლეულობა
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.
(15—4)

